ოქმი:**ო63. 6324143001**
თარიღი:**22/05/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 9

ქ. სამტრედია. 13 მაისი, 2024 წელი.

2024 წლის 13 მაისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, კობა ძიძიგური.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.

2. შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს ხელმძღვანელი, ალექსანდრე სტურუა.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, დავით ბაღდავაძე. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები: მაკა სეხნიაშვილი, ნათელა ხაბეიშვილი.

4. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

5. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები: ნატო ჯულაყიძე, ბეჟან გოგია.

6. მოქალაქეები: მარიამ ძიძიგური, ელენე ძიძიგური, ვაჩე ძიძიგური.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის

„ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის

№- 63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №-63. 632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

3. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

4. ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 მარტის N446 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში, ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის ,,სოლო 423"-ის ბენეფიციარების მიერ ერთჯერადად, უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

6. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების

დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

8. სხვადასხვა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

განცხადების უფლება ითხოვეს საკრებულოს წევრებმა: ტარიელ დვალიშვილმა და კობა ძიძიგურმა.

ტარიელ დვალიშვილი - ,,ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენმა საფეხბურთო ნაკრებმა გაგვახარა და ევროპის ჩემპიონატზე მოხვდნენ. წარმატებებს ვუსურვებ მათ. ჩვენ უფლება არ გვაქვს არ გავიხსენოთ 1981 წლის 13 მაისი. თბილისის დინამომ საუკეთესო წარმატებას მიაღწია და მთელი ქვეყანა გააერთიანა. გთხოვთ, მივესალმოთ. (საკრებულოს წევრებმა ტაშით გამოხატეს მხარდაჭერა).

კობა ძიძგური - ,,საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, აუცილებლად მიმაჩნია გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება და ჩემი აზრი. საქართველოს ხელისუფლება არ გამოხატავს ხალხის აზრს. აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. ამავე დროს აწარმოებს ტერორს, დაშინებას, ჩასაფრებებს ახალგაზრდების მიმართ, რომელთაც ევროპული მიმართულება აქვთ. შეაჩერეთ ,,რუსული კანონი'', შეაჩერეთ ტერორი ახალგაზრდების მიმართ. თქვენ რუსული უფსკრულის პირას დგახართ. გთხოვთ, დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია საქართველოს ევროპული მომავლის სასარგებლოთ''. პროტესტის ნიშნად, ვტოვებ საკრებულოს სხდომას.

აღნიშნულმა განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია საკრებულოს წევრებს შორის. ტარიელ ცომაიამ, მანანა სირბილაძემ გამოხატეს თავიანთი პოზიციები და თხოვეს ბატონ კობა ძიძიგურს, რომ განემარტა თუ რატომ იყო აღნიშნული კანონი რუსული. გამართულიყო მსჯელობა უცხოური გავლენების გამჭვირვალობის კანონის ირგვლივ და დაესახელებინა თუნდაც ერთი შენიშვნა. მათ გამოხატეს მზაობა ემსჯელათ და მუხლობრივად განეხილათ ე.წ. ,,რუსული კანონი'', თუმცა ბატონმა კობა ძიძიგურმა, ამ ეტაპისთვს უარი განაცხადა შეთავაზებაზე, იმ მიზეზით, რომ ,,ხმაურსა და არეულობაში ვერ მოახერხებდა თავისი აზრის დაფიქსირებას''.

საკრებულოს სხდომა, პროტესტის ნიშნად, დატოვა კობა ძიძიგურმა.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №g-63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 აპრილის №62-622411534 წერილობითი მომართვის

საფუძველზე, ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის **„კომპლექსური სპორტული სკოლის“** 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, საქართველოს ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ, კომპლექსური სპორტული სკოლის 2024 წლის ბიუჯეტში, სკოლის ფრენბურთის უკეთ განვითარებისათვის და ხელშეწყობისათვის, ჩარიცხა 20.1 ათ.ლარი. შესაბამისად, საკუთარი შემოსავლების მუხლში თანხა იზრდება 20.1 ათ.ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა ხარჯების ნაწილში (სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული) თანხა გაიზრდება 20.1 ათ.ლარით.

> საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

აზრი გამოთქვა: ირაკლი მელაშვილმა.

> ირაკლი მელაშვილი - ,,მინდა მივულოცო კომპლექსური სპორტული სკოლის ხელმძღვანელობას, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატებებისთვის. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 9-12 მაისს, სერბეთის ქალაქ ნოვო სადში, სამბოში ევროპის ახალგაზრდული ჩამპიონატი გაიმართა. აღნიშნულ ტურნირზე იასპარეზა **სამტრედიელმა ფალავნებმა:** ტიტულოვანი სამტრედიელი სპორტსმენი, უშანგი მარგიანი, ფინალში რუმინეთის წარმომადგენელს შეხვდა, ღირსეულ ორთაბრძოლაში დაამარცხა კიდეც და ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ცნობისათვის, უშანგი მარგიანი ძიუდოში მსოფლიოს მესამე პრიზიორია.
> ის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ ,,ფალავანის” აღზრდილია. მისი პირადი მწვრთნელია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ავთანდილ თარგამაძე. იმავე ტურნირზე მეორე ადგილის და ვერცლის მედლლის მფლობელი გახდა, სამტრედიელი გიორგი ხუჭუა. ვეტერან სპორტსმენებს შორის, ევროპის თასზე გამართულ შეჯიბრებაში, გოჩა ზაქრაძემ პირველი ადგილი მოიპოვა. ჩვენს პორტსმენებს ვულოცავ მიღწეულ წარმატებებს და ვუსურვებ შემდგომ შედეგიან ასპარეზობებს.
>
> კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №- 63.632335922 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

> ***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №-63. 632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
>
> ***მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 აპრილის*** №62-622411535 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება **შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი** სამტრედია''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. დროებით სარგებლობაში მყოფი საცურაო აუზი აგრძელებს ფუნქციონირებას. იმისათვის, რომ დაცული იყოს ჰიგიენური ნორმები, მომხმარებელს

შეთავაზონ უმაღლესი დონის მომსახურება, ესაჭიროებათ აუზის საწმენდი რობოტი. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი სამტრედია''-ს ხელმძღვანელობა ითხოვს, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხის შემცირებას 7.0 ათ.ლარით. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების მუხლში თანხა გაიზრდება 7.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: დავით ჯანელიძემ, ვაჟა სტურუამ.

დავით ჯანელიძე - ჩვენ გვქონდა მსჯელობა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიაზე საცურაო აუზთან დაკავშირებით. კერძოდ, ისეთი პირებისათვის, ვისაც სამკურნალო დანიშნულებისათვის ესაჭიროება აუზის მომსახურება, (ექიმის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე) გაეწიოს შეღავათი მომსახურების ტარიფთან დაკავშირებით. ამისთვის საჭირო იყო თანხების მოძიება. მაინტერესებს როგორ გადაწყდა ეს საკითხი.

ვაჟა სტურუა - შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია''-ს მომსახურების ტარიფებში სოციალურად დაუცველთათვის, (120000-ზე ნაკლები ქულის მქონე) და ყველა შ.შ.მ. პირთათვის დამტკიცებულია ყველა პაკეტზე, 50%-იანი შეღავათი. (დღეში ერთი საათი). თუ კიდევ სხვა შეღავათები იქნება შესაძლებელი, ეს მსჯელობის საგანია და საჭიროებს კომისიაზე შესწავლას. ამ ეტაპზე რაიმე ცვლილება წარმოდგენილ პროექტში გათვალისწიენებული არ არის.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2024 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63. 632335924 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვა, მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან, ასევე, მოიცავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას.

2024 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3,647.4 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არსებული ნაშთი შეადგენს 1,408.1 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 2,239.3 ათას ლარს.

2024 წლის 3 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 1,167.5 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 199.6 ათასი ლარი.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების შესრულების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 10,938.4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7,619.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 69.7%.

შემოსავლები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გადასახადები, (გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 10,707.4 ათასი ლარი, ფაქტიურად 7,359.2 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 68.7% და მთლიანი - შემოსულობების 96.6% შეადგინა.

I . გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 4,510.6 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 4,172.0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 338.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის[1].

- **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 4,529.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 4,090.6 ათასი ლარი) 439.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- **ქონების გადასახადიდან[2]** საანგარიშო პერიოდში მიღებულია -19.3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 81.4 ათასი ლარი) შედარებით 100.7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული.

II . გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია 2,263.7 ათასი ლარი, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩარიცხულია - 233.3 ათასი ლარი;

- კაპიტალური ტრანსფერი - 1,555.0 ათასი ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტები);

- სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 475.4 ათასი ლარი.

III . სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 717.4 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 584.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 81.5%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 841.7 ათასი ლარი) შედარებით 256.8 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

- **პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 81.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 174.9 ათასი ლარი) შედარებით 93.7 ათასი ლარით ნაკლებია.

- **რენტის** სახით მობილიზებულია 45.5 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით

სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 23.2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 22.3 ათასი ლარი.

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან** მიღებულია 317.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (348.0 ათასი ლარი) 91.3%-ია. მათ შორის:

  ü **სანებართვო მოსაკრებელი** მიღებულია 1.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 38.0%-ია.

  ü **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 258.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (302.0 ათასი ლარი) 85.4%-ია.

  ü **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 57.8 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 45.1 ათასი ლარი) 12.7 ათასი ლარით მეტია.

  ü **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან** მიღებულია 7.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (7.9 ათასი ლარი) 96.2%-ია.

  ü **სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 124.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (3 თვის გეგმა - 139.1 ათასი ლარი) 89.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2023 წლის ფაქტი 3 თვე- 139.1 ათასი ლარი) 14.8 ათასი ლარით ნაკლებია.

ü **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8.5 ათასი ლარი, რაც გეგმას (2023 წლის 3 თვის გეგმა - 10.0 ათასი ლარი) 85.0%-ია.

IV . არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 260.7 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 69.9 ათასი ლარი (არასაცხოვრებელი შენობები) და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 190.8 ათასი ლარი[3].

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წლის 3 თვეში გადასახდელების შესრულების 64.6%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2.3%-ით მეტია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2023 წლის 3 თვესთან - 9,091.9 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 1,272.4 ათასი ლარით ნაკლები და შეადგენს 7,819.5 ათას ლარს.

2024 წლის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ 3 თვეში შეადგინა 12,105.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7,819.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 64.6%-ია. მათ შორის:

- **ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6,476.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5,295.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81.8%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 67.7%-ია.

- **არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5,629.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 2,523.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 44.8%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 32.3%-ია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 948.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 915.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 17.3%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 846.7 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 633.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 74.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 12.0%-ია.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3,794.8 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2,976.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 78.4%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 56.2%-ს შეადგენს.

„გრანტების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 94.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 93.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 1.8%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 613.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 578.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.3%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 10.9%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: დედათა და ბავშვთა დახმარება; სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები; დაკრძალვის ხარჯი.

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 178.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 99.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 55.6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 1.9%-ს შეადგენს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია პრიორიტეტები:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 2,700.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,710.9 ათასი ლარი) 57.3%-ია;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 808.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,972.1 ათასი

ლარი) 41.0%-ია;

- განათლება - 1,251.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,477.2 ათასი ლარი) 84.7%-ია;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1,079.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,681.5 ათასი ლარი) 64.2%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 744.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (855.1 ათასი ლარი) 87.1%-ია;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 1,235.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,409.1 ათასი ლარი) 87.7%-ია;

სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 10.0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 10.0 ათასი ლარი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 მარტის N446 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში, ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 30 აპრილის N62-622412173 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში შეტანილ, 2024 წლის 29 მარტის N446 ცვლილებას, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, გამოყოფილი თანხის ოდენობა გაიზარდა 370.0 ათასი ლარით და განისაზღვრა სულ 660.0 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“- პუნქტის „ე.ე“- ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის Nბ62. 622409915 08/04/2024 ბრძანებით დაზუსტდა, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 მარტის N6 დადგენილება. კერძოდ, გაიზარდა (კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით 370.0 ათასი ლარით, სამტრედიაში სოფელ ტოლების და სოფელ ბუღნარას დამაკავშირებელი

ხიდის მარჯვენა ბურჯის დასავლეთ მხარეს, წყლის ამრიდი ფრთის აღდგენის და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად.

დაადგინეს: ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 მარტის N446 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში, ცვლილების შეტანის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის ,,სოლო 423"-ის ბენეფიციარების მიერ ერთჯერადად უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 აპრილის*** №62-622410855 წერილობითი მომართვის საფუძველზე ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამდა ბიურომ განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის ,,სოლო 423"-ის ბენეფიციარების მიერ, ერთჯერადად უსასყიდლოდ სარგებლობის საკითხი და მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, **.** სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატი ,,სოლო 423" ბენეფიციარების მიერ შესაძლებელია ერთჯერადად გამოყენებულ იქნეს უსასყიდლოდ.

- ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის ,,სოლო 423"-ის ბენეფიციარისათვის გადაცემის შესახებ უნდა შედგეს წერილობითი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროონ ბენეფიციარმა, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს (საიდენტიფიკაციო ნომერი–438728708) დირექტორმა.

- ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის ,,სოლო 423"-ის ბენეფიციარის მიერ, სარგებლობის შემდგომ, დაბრუნების შესახებ უნდა შედგეს წერილობითი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროონ ბენეფიციარმა, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"–ს (საიდენტიფიკაციო ნომერი–438728708) დირექტორმა.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, ზურგსაკიდი შესაწამლი აპარატის ,,სოლო 423"-ის ბენეფიციარების მიერ ერთჯერადად უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 აპრილის № 62-6224092109 წერილობითი მომართვით საკრებულოში წარმოდგენილია, დადგენილების პროექტი, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში

ცვლილებას. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს - მერის მრჩეველს საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მომზადების და განხორციელების საკითხებში, დაემატება ინფრასტრუქტურის მიმართულება. ცვლილების შედეგად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - ,,საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მომზადების და განხორციელების საკითხებში მერის მრჩეველი''-ს სახელშეკრულებო შტატის სახელწოდება შეიცვლება და იქნება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ,,უფროსი სპეციალისტი საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მომზადების და განხორციელების და ინფრასტრუქტურის საკითხებში''.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ, მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილების შესაბამისად, 1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლს დაემატოს „ვ^1" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ^1) უზრუნველყოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა."

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლს დაემატოს 2^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს."

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ, მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018

წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი